ოთხშაბათი, ივლისის 9 1919 წ.

ფასი 1 მ. 50 კ.

№ 128

წ ე ლ ი წ ა დ ი მ ე ს ა მ ე.

# ჩვენი ქვეყანა

| რედაქცია | კანტორა |
|---|---|
| **საგაზეთო მასალა** უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოთხრობები. | **გაზეთის ფასი;** ერთი თვით 30 მან. 3 თვით 75 მ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. და 50 კ. უკანასკნელზე 1 მ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** საშუალო ზომისა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 40 მ., 12 საათის შემდეგ 45 მან. |
| **რედაქცია ღიაა:** დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. | **კანტორა ღიაა:** დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. |

**მისამართი:** ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის ს. ფოსტის ადრესი: ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხანგძლივ ავათმყოფობის შემდეგ გადაიცვალა

**სოფიო ქრისტეფორეს ასული აშჩიანცისა**

რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ შვილები: პოლოსა და ექიმი კონსტანტინე ივანეს ძენი, ქალიშვილი მარიამ ივანეს ასული, რძლები შუშანიკა იაგორას ასული და შოღაკათ კარაპეტას ასული აშჩიანცები შვილებითურთ. მიცვალებულის გამოსვენება სომეხთ წმინდა გიორგის ეკლესიაზე ხუთშაბათს 10 ივლისს დილის 10 ს. და იქიდან წირვის მერე დაკრძალვა საფირჩხიის სასაფლაოზე. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 ს. ივანოვის ქუჩა საკუთარი სახლი. 1—2

ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობა ამით აცხადებს, რომ **ქუთაისის ფარგლებში უკვე დაიწყო სათადარიგო მუშაობა ხონის ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზის გასაყვანათ და ამის გამო კვირას 13 ივლისს დილის 11 საათზე ერობის ბინაზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა შემდეგ სამუშევარზე:**

1) მიწის მოთხრა . . . . . . . 800 კუბიკ. საჟ.
2) ქვაფენილის აყრა ლიანდაგის გასაყვანათ და კვლავ შეკეთება . . . . . . . 800 კვადრ. საჟ.
3) ქვის სამუშევარი . . . . . . . 12 კუბიკ. საჟ.
4) „ბალასტის“ გადაზიდვა . . . . . . . 100 კუბიკ. საჟ.

ყოველ გვარი ცნობისთვის საჭიროა მიმართონ გზის გამყვან ინჟენერს კაროვს პეტრე-პავლეს ქუჩა, ჩიკვაიძის სახლი. განცხადება უნდა შემოტანილ იქნას ერობის სატეხნიკო განყოფილებაში.

## ვაჭრობა საბოლოვოა

განცხადება უნდა შემოიტანონ დახურულ კონვერტში ნამდვილი მისამართის აღნიშვნით არა უგვიანეს ხუთშაბათისა 10 ივლისის. 4—3

ოთხშაბათს 9 ივლისს ქალ. თეატრში გაიმართება

**თარხნიშვილების ასულთა**

**გრანდიოზული კონცერტი**

დასაწყისი საღ. 8 ნახ. საათ ბილეთები თეატრის კასაში. 2—2

## ლ ო ტ ო.

**საზოგადო. საკრებულოს საზაფხულო ბაღში**

ლოტოს თამაში არის ნება დართული მხოლოდ იმ პირობით, რომ მომგებს მიეცემა ნახევარი მოგებისა ფულათ და მეორე ნახევარი პირველი ქართული ლატარიის ბილეთებით. კვირას 6 ივლისს ლოტოს თამაშის წინ საზოგადოებას გამოცხადა რომ ლოტოს თამაში მოხდება ამ პირობით და დამსწრე საზოგადოება სიამოვნებით შეხვდა ამ ახალ წესრიგს.

ლოტოს თამაშობა იქნება კვირაში ოთხჯერ: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს და კვირას. 1—1

## ექიმი მ. ე. ნემსაძე

ემბულობს შინაგან და ვენერიულ სნეულებიან ავადმყოფთ. (609 და 914 შემუნება) ყოველ დღე დილის 9—12 და ს. 5—7-მდე. თბილისის ქუჩა. მხეიძის და ნარეშელაშვილის აფთიაქის თავზე.

## ექიმი ბოკერიას

ქირურგიული და ქალთა სნეულების ავათმყოფოში სამშობიარო განყოფილებით ივლისის 6 რიცხვიდან (ახ. სტ.) მუშაობა განახლდა და ავათმყოფების მიღებაც სწარმოებს.

## გაუგებარი სიჩუმე.

ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში არა ერთხელ აღძრულა საკითხი ძველი ათონის შესახებ და არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ ჩვენთვის ბევრათ საყურადღებოა ძველი ათონი. ძველი ათონი ისტორიული ადგილია, იქ დიდძალი ისტორიული საბუთები გვაქვს დაცული, იქაური ბიბლიოთეკა ჩვენთვის ფასდაუდებელია, ათონში დიდი სიმდიდრეა საქართველოს საკუთარი ოფლით შეძენილი. მიახლოვებით ქართველი ბერების საკუთრება იქ 6 მილიონს უდრის და წლიური შემოსავალი ერთ მილიონს აღემატება (ფული რომ უწინდელი ღიროვნებით ვიგულისხმოთ და არა დღევანდელით).

ქართველი ბერებიც და მათი ქონებაც განსაცდელში იყო იქ ბერძნებისაგან. ამ საგანზე ჩვენ უწინაც ვწუხდით და ვცდილობდით ჩვენი ბერებისათვის კანონიერი მფარველობა მოგვეპოვებია. რუსეთის რეჟიმის დროს ვცდილობდით ყველაფერის მოგვარებას რუსის ელჩის საშუალებით და ამის გამო იყო ათასი მიწერ-მოწერა, შუამდგომლობა და ხვეწნა-მუდარება, რაც სჩვეოდა რუსეთის მთავრობას. ყოველივეს ვაწყობდით ხან მარშლების, ხან მეფის ნაცვლის საშუალებით და სხვა., მაგრამ საქმეს ის გარემოებაც აბრკოლებდა, რომ საქართველოს ეკლესიის საკუთრება სინოდს თავის საკუთრებათ მიაჩდა და ამიტომ ჩვენ საკუთრებაზე ლაპარაკი არ ემარჯვებოდათ, სახიფათოთ მიაჩდათ.

ახლა ჩვენი განთავისუფლების დღეს ათონის გარემოებაც შეიცვალა. იქ ოსმალეთის უფლება მოისპო. ბერძნები კიდევ უფრო თავხედობას ეწევიან. მარტის თვიდან ჩვენს ქართველ ბერებს აწვალებენ, აწამებენ, ჩასციევებიან მოგვშორდით, აქედან წადითო. დიდი მონასტერი წაურთმევიათ, მამულს არ ანებებენ. ყოველი მხრით ისტორიულ უფლებასაც ართმევენ და პიროვნებასაც ულახავენ. ქართველმა ბერებმა ბერძნების უდიერი, ბარბაროსული მოქმედების გამო განსაკუთრებული პირი გამოგზავნეს აქ, ყოველივე დაწვრილებით აცნობეს ჩვენს მთავრობას საეროსაც და სასულიეროსაც და მოითხოვდენ საჩქარო დახმარებას. მოითხოვდენ ადამიანური წესიერების აღდგენას და სამართლიან მოპყრობას. ამის გამო დევნილი და წამებული ქართველი ბერების წარმომადგენელი იყო უნეტარეს კათალიკოზ პატრიარქთან და საერო მთავრობასთანაც და ყოველივე მოახსენა.

მოსალოდნელი იყო, რომ ჩვენი მთავრობა როგორც საერო, მით უმეტეს სასულიერო რამე ნაბიჯს გადადგამდა, ყოველ შემთხვევაში ეცდებოდა, რამე ზომებს მიიღებდა, რომ უსამართლო დევნა, ტანჯვას ბოლო მოეღებოდა. სამწუხაროთ მეორე თვე მიდის და ჩვენი მთავრობა, არც საერო და არც სასულიერო, ხმას არ იღებს.

ტანჯული მოძმენი ხელს გვიწვდიან, შემწეობას გვთხოვენ და ჩვენ გაჩერებული ვართ!

ჩვენ ვიძახით სხვადასხვა სახელმწიფოში წარმომადგენელი გვყავსო. ზოგან მართლაც არიან და როგორც ვიცით საქმეც კეთდება, მაგალითად ოდესაში ჩვენი ხალხი ჩაჭირო მფარველობას ღებულობს ჩვენი ელჩისაგან.

რით უნდა ავხსნათ მთავრობის სიჩუმე? შეიძლება იფიქრონ, რომ ჩვენი მთავრობა საეკლესიო საკითხებზე თავს არ იტეხსო. ეს მართალია, მაგრამ ათონის საკითხი არსებითად **პოლიტიკურია** და არა **ეკლესიური**. ამასთანავე აქ საქართველო **ნივთიერათ** არის ძლიერ დაინტერესებული და ჩვენი მთავრობა აქაურ მონასტრებს ართმევს ტყეებსა და წისქვილებს და ამაზე უფრო საჩქარო ისაა, რომ ათონის საკუთრებას დაეპატრონოს. ათონის ქონება ჩვენი **სახელმწიფოს** საკუთრება იქნება და საგრძნობელ სარგებლობასაც მოგვცემს. ათონის საკითხს დიდი ლიტერატურა აქვს და ნუ თუ ჩვენი მთავრობის შემადგენლობაში ამ საკითხის მცოდნე არ არის, ან დაინტერესებული პირია საძებარი?!

სასულიერო მთავრობის სიჩუმე ცხადი ნიშანია მისი მოდუნების და დაცემის.

ჩვენს მთავრობას ამ საქმის გაკეთება თუ არ შეუძლია, შეცადინეობა მაინც საჭიროა; რომ მხოლოდ არ წახდეს. ყოველ შემთხვევაში მოქმედება ზნეობრივი დაკმაყოფილება მაინც იქნებოდა. ასეთი სიჩუმე სულიერათ დასცემს საცოდავ ჩვენ მოძმეებს.

**ტრიფონ ჯაფარიძე.**

## ბათომის კარებისაკენ.

ბათომის კარების გაღება მორიგ საკითხად დაისვა.

საქართველოს ტერიტორიიდან ბათომის ოლქის ჩამოგლეჯა ქართველ ერს მძიმე ჭრილობათ დააჩნდა. ტკივილები თანდათანობით ღრმავდებოდა და ეხლა ასე ბევრს რომ ლაპარაკობენ ბათომის კარების გაღების შესახებ და იქ ჩვენი ჯარის შესვლაზე — ეს სურვილებია ქართველი ხალხის გულიდან ამოხეთქილი.

წელიწადი და სამი თვე არის, რაც ეს მხარე დავკარგეთ და ამ ხნის განმავლობაში მას თავს დავსტიროდით.

წელიწადი და სამი თვე ვგლოვობდით ბათომის დაკარგვას.

მახსოვს ის შავი დღე, როცა ბათომის სიმაგრეებზე მდგომმა ჩვენმა ჯარმა სამარცხვინო თეთრი დროშებიააფრიალა და ოსმალებს მორჩილება გამოუცხადა.

ოსმალთა ასკერები ზღვის პირად გაშლილ ქალაქისაკენ დაექანენ...

ჩვენი ჯარი ამ დროს უკან გამორბოდა.

ამ სურათის მნახველი თვითეული ქართველი მწარედ სტიროდა; თვალებიდან ცრემლები ჩამოსდიოდა...

ბათომის დაცემის წინა დღეებში მე ვნახე ქართველი ჯარის კაცები, რომელნიც ვაჟკაცურის მხნეობით მიეშურებოდნენ ბრძოლის ველისაკენ.

მღეროდენ ისინი და გაიძახოდენ:

ან გამარჯვება და ან სიკვდილი!

მე წავიკითხე ახალგაზრდა ჟურნალისტებისა და მგოსნების აღფრთოვანებით დაწერილი წერილები და ლექსები, რომლითაც მამულიშვილთ ბრძოლის ველისაკენ მოუწოდებდენ.

მაგრამ ვნახე ისიც დამარცხების შემდეგ ჩვენი ჯარის კაცები სიმღერის ნაცვლად თვალცრემლიანი რომ ბრუნდებოდენ.

ბათომის დაცემის მეორე დღეს ვნახე ქართული ჟურნალ-გაზეთები, სადაც იგივე ჟურნალისტები და მგოსნები აღმაფრთოვანებელი წერილებისა და ლექსების ნაცვლად ცრემლის მელნით დასტიროდენ ბათომის კარების ჩაკეტვას.

და კმარა ერთი წლისა და სამი თვის გლოვა. გლოვა ქართველი ერისა მხიარულებად უნდა შეიცვალოს.

ჩვენმა მხედრობამ მედგრად უნდა შეალოს ბათომის კარები და მთელი ოლქი ჩვენს ტერიტორიას შემოუერთოს.

შეიძლება დღემდისაც ჩვენს ხელში ყოფილიყო ბათომი, მაგრამ აქ ხელს გვიშლიდა ინგლისელები. ეხლა ინგლისელები მიდიან, მათ ადგილს იტალიელები იკავებენ, რომელთაც ჩვენთან უფრო კარგი დამოკიდებულება აქვთ, ვინემ ინგლისელებს ჰქონდათ, მაგრამ ბათომისაკენ თვალი უჭირავთ ერთის მხრით მადა გახსნილ მოხალისეთა სარდლობის შავ აჩრდილს და მეორეს მხრით დენიკინის მოციქულებს, ჩვენს მოსისხლე მტრებს სომხებს, რომელთაც სწადიათ ბათომის შეერთებით გააფართოვონ თავისი ტერიტორია და ზღვაზე გასავალი მოიპოვონ.

ერთიცა და მეორეც ემზადება და უკეთ რომ ვსთქვათ მომზადებულნიც არიან ხელთ ჩაიგდონ ბათომის მიდამოები; მხოლოდ დროს უცდიან და ეს დროც მოახლოებულია.

და დღეს გვმართებს მთელი ცოცხალი ძალები ფეხზე დავაყენოთ, ავამოქმედოთ დაგროვებული ენერგია, შევქმნათ სანამ გვიან არ არის მტკიცე ორგანიზაცია ჯარისა, რომ ბათომიც შემოვიერთოთ, დავიცვათ ჩვენი მიწა-წყალი და ფიზიკური არსებობაც შევინარჩუნოთ იმ შავი აჩრდილიდან, რომელიც ჩრდილოეთიდან გვევლინება.

მძიმე მომენტი სდგას და ეხლა თუ მეტი სიფხიზლე და ენერგია არ გამოვიჩინეთ გვიან იქნები.

ერთი წლისა და სამი თვის შემდეგ ქართველმა მხედრობამ უნდა შეაღოს ბათომის კარები. დაიკავოს მთელი მხარე და განწმინდოს იგი იმ ორგანიზაციებიდან დღეს ჩვენს საწინააღმდეგოთ რომ მუშაობენ და დენიკინს დასახმარებლათ ხელს რომ უწვდიან.

საკითხი ასე სდგას: ან ეხლა და ან არასოდეს...

**ნიკ. ასათიანი.**

## დენიკინის პოლიტიკა.

(წერილი რუსეთიდან.)

კორნილოვ-ალექსეევის ნაანდერძევ ერთციდა უფრომო ტერიტორიას დენიკინმა, აგერ-აგერ, საბჭოთა რუსეთის ხარჯზე სახელმწიფოებრივი ფორმა მისცა. ის რაც ვერ შესძლო შედარებით ნიჭიერმა კორნილოვმა და სტრატეგმა ალექსეევმა უნიჭო გენერალ დენიკინს ხვდა წილათ. კაზაკობაში შავი რეაქციონერობა ჩვეულებრივ და აუცილებელ ადათათ იქცა, და ამან ხელი შეუწყო შავ გენერალს რომ თავის სახელი ევროპაში გადაესროლა. ორ მილიონიანი წითელი ჯარი დენიკინის ფრონტზე პოზიციებს-პოზიციებზე სტოვებს. ხარკოვის, ეკატერინოსლავის, სევასტოპოლის და ცარიცინის მოკლე ხანში დაცემამ საბჭოთა ჯარში დიდი პანიკა გამოიწვია და გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ლენინ-ტროცკი და მისი ამალა ბარგს ამზადებენ და გასაქცევათ ემზადებიან. დენიკინი ამ ზაფხულზე ზეიმობას აპირობს რუსეთის დედა ქალაქ მოსკოვში, ცხადია რომ ეს არც უტოპია არის მისთვის. დენიკინის

დაპყრობითი პოლიტიკას ხელს უწყობენ იუდენიჩი, პოლონელები და უმთავრესათ კოლჩაკი რომელთანაც დენიკინს გამარჯვების შემდეგ აუცილებლივ შეიარაღებული შეტაკება მოუხდება ნიკოლოზის სასახლეში ბატონობაზე და დიქტატურაზე. ზეიმობენ პურიშკევიჩ პანჩენკოები, რომ „დიდ მთავარ“ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს კვლავ შესთავაზონ ძველი რუსეთი.

დღეს დენიკინი ერთ მთლიან რუსეთზე ოცნებობს, და თუ სამშვიდობო კონფერენციამ ძველი რუსეთის სახელმწიფოსთვის ეროვნული არშინი არ გამოჭრა და მით არ გამიჯნა ძველი რუსეთის ტერიტორია მოსალოდნელია რომ რეაქციონერ ღენერალს ნატვრა რეალობათ ექცეს. დენიკინს გამარჯვებები წინეთაც ქონდა, მაგრამ მას მოსდევდა თან მრისხანე დამარცხება და არა ერთხელ დამდგარა მომენტი როცა გული რეაქციის ნოვოჩერკასკ-როსტოვი, სასტიკ კრიტიკულ მომენტს განიცდიდა წითელი გვარდიის ყუმბარების გრიალის გამო დღეს როცა თეთრი არმიის ტერიტორია ინგლისელების არტილერიით დაიფარა და რუსის „მუჟიკი“ ინგლისურ ფრენჩით ომობს ასეთი დღის მოლოდინი ტყუილ უბრალო ოცნება იქნება.

დენიკინის პოლიტიკის ერთი ფრთა საქართველოსკენ არის მოპყრობილი და ეს ფრთა ძალას, წარმოადგენს საქართველო რომ რუსეთს ვერ მოშორდება ეს აქსიომას შეადგენს დენიკინისთვის, ხოლოთ საკითხი დროის გარშემო ტრიალობს. გრძნობენ საქართველოსთან ბრძოლის აუცილებლობას და ხელსაყრელ მომენტს უცდიან, ეს მომენტი თითქმის კიდეც დამდგარია მათთვის.

საქართველოს მთავრობაც ალბად არა ხანია გრძნობს დენიკინთან ბრძოლის აუცილებლობას, მაგრამ მათ ხელიდან გაუშვეს ხელსაყრელი მომენტი როცა თეთრი არმია კრიზის განიცდიდა დღეს იმდონათ მოლონიერდა ეს დენიკინის მხედრობა რომ ის უკვე სახელმწიფოებრივი არმია არის რიგიანი ორგანიზაციით და ნამეტნათ გასაჭირი იქნება ჩვენთვის დღევანდელი სამხედრო ორგანიზაციით რომ 400000 კაცისაგან შემდგარ ჯარს შევებრძოლოთ თუგინდ სწრაფმთ მოიოპილი ჯარიც რომ დავახმაროთ დღევანდელ ჩვენ გვარდიას და მცირე რიცხოვან რეგულიარულ ჯარს.

დენიკინი მაშინ აპირობს ჩვენთან ბრძოლას როცა ყველა საქმეებს მოილევს, მგრამ ბრძოლისთვის მზადება დიდი ხანია დაიწყო, ჩვენ თუ ხვალ ვგრძნობთ ბრძოლის აუცილებლობას დღეს ძაინც უნდა დავიწყოთ მზადება, თორემ სოჭის ოლქში რომ ზარბაზნები აკაკანდება და ჩვენი მთავრობა პროტესტების წერას შეუდგება ვშიშობ რომ პროტესტების ბლანკების გაშრობამდე მურტალმა ყაზახებმა 1905 წლების ისტორია ხელმეორეთ არ გაიმეოროს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

ბიკ. მუხურელი.

## უკანასკნელი ცნობები.

### ბ ა ქ ო.

**ყუმბარების ქარხანაში.** დააპატიმრეს ადერბეიჯანის ყუმბარების ქარხნის ძმართველი კოლლარი. რევიზიამ გამოარკვია, რომ ქარხანას აკლია 50 „ვინტოვკა“.

**ამერიკელები და ბაქოს ნავთი.** ამერიკის ნავთის მრეწველთა კომპანიამ ხელშეკრულება დასდო ადერბეიჯანის მთავრობასთან 12 მილიონი ფუთი ნავთის შესყიდვის შესახებ. ხელშეკრულება სისრულეში უნდა იქნას მოყვანილი 1920 წლამდე. 1920 წლიდან ეს კამპანია კიდევ შეიძენს 6 მილიონ ფუთ ნავთს.

**ნავთის წარმოების შემცირება.** ვინაიდან ნავთის მოსაკავებელი ჭურჭელი ბაქოში აღარ იშოვება, ბევრ წარმოებაში ნავთის დამუშავება შემცირდა. ამის გამო უმუშევართ რიცხვი ბაქოში მატულობს.

### ბ ა თ ო მ ი.

**სიკვდილით დასჯა.** ინგლისის სამხედრო სასამართლოს დადგენილების თანახმად, სიკვდილით დასაჯეს ისმაილ ოსმანა. მას ბრალდებოდა სადარაჯოზე მდგომ ინგლისელ ჯარის კაცის მოკვლის განზრახვა.

**გენ. გუბერნატორის ბრძანება.** ბათომის ოლქის ინგლისელმა გენერალ გუბერნატორმა ბრძანება გასცა, სადაც ნათქვამია, რომ ძარცვა-რბევის და მკვლელობის გამო შეპყრობილი დამნაშავე გადაეცემა ბრიტანეთის სამხედრო სასამართლოს და გასამართლებული იქნება სამხედრო დროის კანონების მიხედვით.

## ცნობები რუსეთიდან.

(საკუთარი კორესპოდენტისაგან).

**ქართული საკონსულო.**

ქ. როსტოვში მყოფ ყველა სახელმწიფოების კონსულებს 15 ივნისს (ძველი სტილით) სხდომა ექნებოდათ იცნონ თუ არა კანონიერათ ქართული საკონსულოს არსებობა როსტოვში.

**ქართველი სტუდენტობა ნოვოროსიის გუბერნატორის რწმუნებულთან.**

როსტოვის სტუდენდობას ნოვოროსიაში გუბერნატორის რწმუნებულმა პოლკოვნიკმა №, როცა სტუდენტები საქართველოსკენ გასასვლელ ნებართვას თხოულობდნენ სხვათა შორის მრავალ სხვა პირებთან დაცინვით უთხრა: საქართველოს რესპუბლიკაში როცა მჭირდებოდა სამხედრო მინისტრიდან მოკიდებული უბრალო კარისკაცამდე ყველა მოყიდული მყავს ძლიერ მცირე გროშითო. (за мизерную плату).

**პარამონოვის გემი სოჭში.**

ამ დღეებში პარამონოვის გემი „ელპიდოფორა“ სოჭის გვერდით ჩავლას აპირობდა. მოხალისეთა ჯარის სარდლობამ საბრძოლველი ბაირაღი გამოუფინა გასაჩერების ნიშნათ. გემი არ გააჩერეს. ტყიდან არტილერიამ 26 ჯერ ზარბაზანი ესროლა მაგრამ ვერც ერთი ვერ მოახვედრეს შემდეგ ამ გემს მეორე გემი „ხერსონესი“ გამოაკიდეს, და დაიჭირეს. ამ გემს ქართველი ვაჭრების ამანათები მოჰქონდა. (რკინეულება ცარიელი სადვინე ბოჩკები და სხვა) ამბობენ გემზე უნებართვოთ ქფილსაც მოატარებდენ, მაგრამ როცა „ხერსონესი“ დასაჭერათ უახლოვდებოდა ზღვაში გადაიყარეს. გემის კაპიტანმა თავი მით იმართლა, რომ მე სოჭში მეგონა თუ ქართველების ჯარი იყო შემოჭრილიო. გემი გაანთავისუფლეს.

## ფრანგული პრესის ცნობები.

საქ. დეპ. სააგენტო.

ხუთშაბათს დილით ავსტრიის დელეგაციამ ახალი ნოტა გაუგზავნა კონფერენციას. ბ. დიუტახტი მაშინვე გაემგზავრა სენ ჟერმენში რენნერთან მოსალაპარაკებლათ. ზოგიერთ პირობები, რომელიც მათ წარუდგინეს, შეუსრულებლათ მიაჩნიათ და მოითხოვენ. სიტყვიერ მოლაპარაკების დაწყებას. ავსტრიელები სჩივიან, რომ ფინანსიურად მძიმე პირობებში იმყოფებიან. ავსტრიაში ნედლი მასალის უქონლობის გამო უმუშევრობა იზრდება. მხოლოდ ვენაში 30,000 უმუშევარია. ავსტრიელებს ხელშეკრულებას, როგორც ეტყობა, მომავალ კვირას გადასცემენ. სარედაქციო კომისია ეხლა ხელშეკრულების უკანასკნელ მუხლებს იმუშავებს.

## გერმანული პრესა

საქ. დეპ. სააგენტო.

როგორც ფიქრობენ, ხუთთა საბჭო დღეს დაამთავრეს დუნაის და სომხეთის საკითხების განხილვას, რომელიც უკვე რამდენიმე დღეა რაც ირჩევა. ასე, რომ მომავალ კვირაში საბჭოს შეუძლია მთელი თავისი ყურადღება ადრიატიკის საკითხს მიაქციოს. იტალიის გაჭირვებულ მდგომარეობის შესახებ ჯერ მხოლოდ არა ოფიციალური ცნობებია, მაგრამ, როგორც ამბობენ, ამერიკის, საფრანგეთის და ინგლისის დელეგატებს სურთ საქმის მდგომარეობა გამოირკვეს. იტალიელები მზათ არიან შესათანხმებლად. შეთანხმება მალე მოხდება, რათა ავსტრიასთან ზავი რაც შეიძლება ჩქარა შეიკრას. მაშინ კონფერენციას მეტი დრო ექნება ახლო აღმოსავლეთის, ბულგარეთის, ბოლშევიზმის და ოსმალეთის საკითხების შესახებ საბოლოოთ გადაწყვეტილებათა მისაღებად.

როგორც იუწყებიან, ჩინეთის დელეგატებმა ინსტრუქციები მიიღეს, რომ ავსტრიის ხელშეკრულებას ხელი მოაწერონ.

ამ კვირაში საზავო კონფერენციის მუშაობა ნაკლებ ნაყოფიერი იყო, რაც დაღლილობით აიხსნება. აქ მწუხარებას გამოსთქვამენ რუმინიის პრემიერის წასვლის გამო, რაშიაც ბრალს სდებენ კონფერენციას, რომელიც საკმაოდ არ გაერკვია ბალკანეთის საქმეებშიო.

## ინგლისური პრესის ცნობები

(საქ. დეპ. საგენტო)

როგორც ფიქრობენ, ხუთთა საბჭო დღეს დაამთავრეეს დუნაის და სომხეთის საკითხების განხილვას, რომელიც უკვე რამდენიმე დღეა რაც ირჩევა. ასე, რომ მომავალ კვირაში საბჭოს შეუძლია მთელი თავისი ყურადღება ადრიატიკის საკითხს მიაქციოს. იტალიის გაჭირვებულ მდგომარეობის შესახებ ჯერ მხოლოდ არა ოფიციალური ცნობებია, მაგრამ, როგორც ამბობენ, ამერიკის, საფრანგეთის და ინგლისის დელეგატებს სურთ საქმის მდგომარეობა გამოირკვეს. იტალიელები მზათ არიან შესათანხმებლად. შეთანხმება მალე მოხდება, რათა ავსტრიასთან ზავი რაც შეიძლება ჩქარა შეიკრას. მაშინ კონფერენციას მეტი დრო ექნება ახლო აღმოსავლეთის, ბულგარეთის, ბალშევიზმის და ოსმალეთის საკითხების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებათა მისაღებად.

## ვაჭრობა ინგლისელებთან.

საქართველოს ფინანსიურ წრეებში ხმებია, რომ ბოლო ხანებში ჭიათურის შავი ქვის მწარმოებელთა საბჭოს ფრიად დიდი სავაჭრო საქმე დაუჭერია ინგლისელებთან. პირველად უნდა მზადდებოდეს გასაგზავნად მილიონი ფუთი შავი ქვა რაც მოგვცემს ორმილიარდ მანეთს ამ თანხის ანგარიშში ინგლისელებს შემოაქვთ 100.000 ფ. სტერლინგი ამისათვის მოსალოდნელია ჩვენი ვალიუტის ძალიან აწევა.

## ბაქოს ბირჟა

„კერენკებს“ და „ნიკოლოზის“ მსხვილ ფულს გამყიდველნი თხოულობენ წარმოუდგენელ ფასს.

1000 მანეთიანი იყიდება 1400—1800 მ. 250 კერენსკის ფული 1600-მდე აღწევს ყველაზე მეტათ გადის 500 მანეთიანები 1300—1400 მანეთად. 100 მან.—300 მანეთად.

იტალიის ფულის მოთხოვნილება იზრდება იტალიის ლირა ღირს 20—21 მანეთად.

## ერ.-დემ. პარტიის კონფერენცია.

ერ.-დემ. პარტიის კონფერენცია გაგრძელდება კიდევ 2 დღეს. ყოველ დღე ემატებიან ახლად მოსული დელეგატები.

კონფერენციამ მოისმინა მოხსენებანი პარტიულ მუშაობის შესახებ, განიხილა საორგანიზაციო საკითხები და მოხსენება აფხაზეთის მდგომარეობის შესახებ.

მოხსენებები, სხდომების ანგარიშები და დადგენილებანი დაიბეჭდება ახლო გაზეთში, კონფერენციის მუშაობის დამთავრების შემდეგ.

## ახალი ამბავი

**ბანქოს მოთამაშეთა გაძარცვა ბათომში.** როგორც ბათომიდან ჩამოსულები გადმოგვცემენ ამ დღეებში „ინტერნაციონალის“ კლუბში, ღამით, როცა იქ თავი მოეყარათ ორმოცამდე კაცს და ბანქოს თამაშობდენ,—შევიდა რამდენიმე შეიარაღებული კაცი, მოთამაშეები ერთად შეკრიბეს, მათ ტომარა მიუტანეს და უბრძანეს: „რაც რამ გაბადიათ ჩაჰყარეთ ამ ტომარში“. მოთამაშეებმა ბრძანება შეასრულეს. რის შემდეგაც შეიარაღებულნი მიიმალენ. როგორც ამბობენ წაღებული ფული ერთ მილიონს აღემატება.

✦ **კონცერტი.** დღეს 9 ივლისს, ქალაქის თეატრში თარხნიშვილთა ასულების მიერ გაიმართება დიდი კონცერტი.

✦ **მიტროპოლიტ ს გამგზავრება თფილისში.** გუშინ საქმეების გამო თფილისს გაემგზავრა ქუთათელი მიტროპოლიტი ნაზარი.

✦ **ინგლისელების წასვლა.** როგორც დანამდვილებით ამბობენ ინგლისელები საქართველოს 15 ივლისისათვის სრულიად დასტოვებენ. თურმე ისინი ჩვენში ჯორებს სტოვებენ, რადგანაც მათ ჯორები ინგლისშიდაც ბევრი ჰყავთ.

✦ **ჩვენი თანამშრომელი ნელი** გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ გაზეთ „სალი კლდე“-ში მოთავსებული წერილი ახალციხიდან „ნელის“ ფსევდონიმით მას არ ეკუთვნის.

✦ **სესხის ახალებათ** ქუთაისის ქალაქის გამგეობის წევრმა ან. მეფისაშვილმა სესხის აღების მოსაგვარებლათ ვრცელი მოხსენება შეიმუშავა 1918 და 1919 წ. ქალაქის საერთო ფინანსიურ მდგომარეობაზე. ეს მოხსენება წინასწარ განხილულ იქნება ქალაქის საბჭოს ფინანსიურ კომისიაში და შემდეგ ის საბოლაოთ დასამტკიცებლათ ქალაქის საბჭოს წარედგინება.

✦ **ქალაქის საპნის ქარხნის ამუშავება.** შეჩერებული ქუთაისის ქალაქის საპნის ქარხანა უკვე ამუშავდა. საპნის ქარხანაში ამ ჟამად საპონს ამზადებენ საჭმელი ზეთიდან.

✦ **მატარებლების ნიმოსვლის შეცვლა.** 5 ივლისიდან მატარებლების მიმოსვლა შეიცვალა. ამ დღეს არავინ იცოდენ თუ მატარებლების მიმოსვლა შეჩერებული იყო და როცა მგზავრები სადგურზე მივიდენ მატარებლები წასული იყო. საჭიროა რკინის გზის ადმინისტრაციამ მეტი ყურადღება მიაქციოს მიმოსვლის საქმეს, რომ მგზავრებს საქმე გაუადვილდეთ. ხვალინდელ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იქნება მატარებელთა მიმოსვლის ახალი ნუსხა.

✦ **ქალაქის საბჭოს სხდომა.** დღეს, 9 ივლისს, საღამოს 8 საათზე ქალაქის თვითმართველობის დარბაზში დანიშნულია ქალაქის საბჭოს მორიგი სხდომა. სხდომაზე განხილული იქნება ქალაქის აფთიაქებში მოსამსახურეების მოთხოვნილება ჯამაგირების მომატების შესახებ.

## ჩხენკელის წერილი.

ჩხენკელისგან მიღებული წერილით ჩვენი საკითხები ყველა სოციალისტურ კონგრესებზე და ნეიტრალურ ქვეყნების წრეებში დიდი პატივისცემას იწვევს. ჩხენკელი იწერება, რომ დიდი თხოვნის შემდეგ მოახერხა, რომ ქართველი ტყვეები გაეგზავნათ გერმანიიდან რუსეთში კი არა არამედ საქართველოში. მათთვის მზადდება სპეციალური გემი, რომლითაც გამოიგზავნება სასოფლო მეურნეობისათვის მრავალი იარაღები.

## საიმედო ნიშნები.

ჩვენს ერს თანდათან ეტყობა, რომ მონობის გამო მიძინებული მისი პოტენციალური სულიერი ძალები იღვიძებს და, თუ ხელის შემწყობი პირობები დაუდგა, გაიფურჩნება კიდეც.

ამ ჟამად ასეთი გამოღვიძება, სხვათა შორის, განსაკუთრებით დაეტყო ჩვენს საერო მუსიკას; საერო სიმღერების მკვდრეთით აღდგენას.

მუსიკა და საერო სიმღერები გამო[...] ხატველია ხალხის სულის განწყობი[...]ბის, მისი მდგომარეობის; მათში ხა[...] ჩვენი სიხარული, მწუხარება, მამაცო[...] ქველობა და ბევრი სხვა[...] ხალხის ხასიათს, მისი ცხოვრების კი[...] და ძალა-უძლურებას მელოდიებში გა[...] სახიერებს.

თუ ერი თავისუფლებით ხარობს, [...] სი სიმები ლაღი ჰანგების მაჟღერალ[...] თუ ხალხი მონობის უღელს ატარე[...] მისი მუსიკა ჭირისა და ვაების მეტყ[...]ლია.

ჩვენს ერს არც მონობა ჰკლებია, არ[...] თავისუფლების ულიერსი ყოფილა. [...] თიც ხშირად განუცადია და მეორეც.

ჩვენდა სასიამოვნოდ უნდა აღვნიშნო[...] რომ ამ მოკლე თავისუფლების ჟამსა[...] დღითი დღე თავს იჩენენ ისეთი ნიჭიე[...] პირები, რომელნიც ჩვენი სულის[...] წყობილების ისტორიას მელოდიებით სიმღერა-საგალობლებით გადმოგვცემენ.

ერთი მხრით სამუსიკო სკოლები [...] ნება და მეორე მხრით უცხო სულით მ[...] ძინებულს ქართულ მელოდიებს მხს[...] ლნი და მკვდრეთით აღმდგენელნი [...] ნდებიან.

თვე ისე არ გაივლის, რომ ჩვენმა ს[...] ზოგადოებამ თვისი ისტორიული წარსუ[...] ლის სულის განწყობილების ავიდა კარ[...] თვისი ღვიძლი შვილთაგან შემდგარი გ[...] ნდის პირით არ მოისმინოს და სული [...] გული არ დაიტკბოს. ამ დღეებში [...] მოკრული „აფიშებით“ სასიამოვნო რა[...] მე გვაუწყებენ: ოთხშაბათს თბილისიდა[...] გვეწვევიან მომღერალ თარხნიშვილთ[...] გუნდი, რომელმაც თბილისის ქართვე[...] ლობა თვისი გამოსვლით დიდის აღტაც[...] ბაში მოიყვანა და ამ აფექტის გამოწვ[...] ვას თბილისის გაზეთები დიდი ყურადღ[...] ბით მოეპყრენ: ისინი ხაზ გასმით აღნ[...] შნავენ, როგორც მსმენელთა მიერ გან[...] ცდილ უაღრეს სიტკბოებას, აგრეთ[...] ჩვენი აერო მუსიკის სინამდვილის დაცვ[...] გუნდის მიერ ნამღერს მელოდიებში.

ვნახოთ, ვისიამოვნოთ და ვაკურთხ[...] ასეთი ნაყოფიერი ნაბიჯი ჩვენი მგა[...] ბელ მღალადებლებისა. X.

## ღია წერილი

**მოქალაქე მიწად-მოქმედების მინისტრს!**

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესა[...] გთხოვთ საშუალება მომცეთ თქვენი გა[...] ზეთის ფურცლებზედ მოვათავსო შემდეგ[...] მიმართვა:

4 ივლისს 1919 წ. მიწადმოქმედებ[...] სამინისტროს კანცელარიის დირექტორ[...] კაბინეთში, ამავე სამინისტროს სამეურ[...] ნეო ნაწილის განყოფილების უფროსმ[...] ბ. გედევანიშვილმა კანცელარიის დირექ[...] ტორის და სხ. თანადასწრებით ერთ[...] მთხოვნელთაგანს გამოსტყუა საბუთი დ[...] მიუხედავად ხვეწნამუდარისა იქვე ნაკუწ[...] ნაკუწად აქცია. როგორც ეტყობოდ[...] საბუთი ფრიად მნიშვნელოვანი იყო[...] რადგან როდესაც ბ. გედევანიშვილი სა[...] ბუთებს ჰხევდა მეტად აღელვებული გა[...] ძახოდა: „როგორ შეეძლო ამ საბუთებ[...] თქვენ ჩაგვარდნოდათ ხელშიო“. მთხოვ[...] ნელის განცხადებამ, რომ ეს საბუთი მი[...] ღებული აქვს მიწათ-მოქმედების სამინის[...] ტროს კანცელარიიდან, ბ. გედევანიშვი[...] ლი არ დააკმაყოფილა.

ზემოდ მოყვანილი აღმაშფოთებელ[...] მოქმედება ადამიანს სასოწარკვეთილებაში[...] აგდებს, რადგან მან არ იცის, ის მართ[...] ლა ხალხის უფლების დამცველ სახელმ[...] წიფოში სცხოვრობს თუ ისეთ სახელმწი[...] ფოში სადაც ბ. გედევანიშვილი და კომ[...] პანიის თვითნებურ მოქმედებას არც ხე[...] ლის შემშლელი ჰყავს და არც საზღვარ[...] აქვს.

მოქალაქე მინისტრო, აი ზემოდ მო[...] ყვანილ ძალადობას ადგილი ჰქონდ[...] თქვენს სამინისტროში, რის გამო ნება[...] მივცემ ჩემს თავს შეგეკითხოთ: დასაშვე[...] ბია განა ეს? „ა. საქ.“

კ. დათეშიძე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია